P4E
მშობლები
განათლებისთვის

ციფრული უსაფრთხოების გზამკვლევი მშობლებისთვის

ზანდა ჩეჩელაშვილი
ლიდი ფუღახიანი
სოფიკო გელავა

თბილისი, 2023

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია „DEAP - მშობლების ციფრული განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროექტის“ ფარგლებში.

პროექტი ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და ესტონური ორგანიზაცია „ელექტრონული მართვის აკადემიის“ (eGA) ერთობლივი პროექტის - “DRIVE: ციფრულად მოწყვლადი მოქალაქეების საჭიროებების კვლევა“ ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ბრიტანული კორპორაცია Luminate.

CONTENTS

ეკრანდამოკიდებულება 7

რა არის ეკრანდამოკიდებულება? 8

როგორ გამოიყურება ეკრანდამოკიდებულება? 9

როგორ მივხვდეთ, რომ ბავშვი ეკრანდამოკიდებულია? 9

რა შესაძლებლობებს გვაძლევს ინტერნეტი? 11

ეკრანთან გატარებული დროის მართვა - როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი? 12

სოციალური ქსელები 12

კომპიუტერული/ინტერნეტ თამაშები 13

ინფორმაციის მოძიება 14

როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი დიდი ხნით მოიხმარს ეკრანს ან ეკრანდამოკიდებულია? 14

ეკრანდამოკიდებულების პრევენცია 15

ინტერვენცია - როგორ ვიქცევით, თუ ბავშვი უკვე დამოკიდებულია ეკრანზე? 16

ციფრული უსაფრთხოება 18

მოწყობილობების უსაფრთხოება 19

პაროლები და ორმაგი დაცვა 20

პერსონალური მონაცემები 24

უსაფრთხო სოციალური ქსელები და მიმოწერა 25

ონლაინ თაღლითობა - ფიშინგი 26

ფიშინგი Google-ის სახელით 27

ფიშინგი ბანკის სახელით 28
კიბერბულინგი 28
როგორ გამოვიცნოთ კიბერბულინგი? 30
თამაშები და Parent control 31

მედიაწიგნიერება 34
პროპაგანდა და დეზინფორმაცია 36
როგორ გადავამოწმოთ ფოტოები და ვიდეოები? 44
ყალბი ანგარიშები ფეისბუქზე 53

XXI საუკუნე ციფრული ტექნოლოგიების ერაა. შეუძლებელია, ჩვენი ყოველდღიურობა გაჯეტების გარეშე წარმოვიდგინოთ. ალბათ, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ინტერნეტი და ტექნიკა მნიშვნელოვნად გვიმარტივებს ცხოვრებას; საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია ძალიან მცირე დროში, ნაკლები ძალისხმევით მოვიპოვოთ; ნებისმიერ მანძილზე დავუკავშირდეთ ადამიანებს და ვიპოვოთ ჩვენთვის საინტერესო და სასიამოვნო კონტენტი. თუმცა, მეორე მხრივ, ალბათ, ყოველი მშობელი გეტყვით, რომ რა მომენტიდანაც პირველად ვაცნობთ ბავშვს ეკრანს, - იქნება ეს ტელეფონი, ტელევიზორი, თუ ნებისმიერი სხვა საშუალება, - უფრო და უფრო მეტად იზრდება მისი გამოყენების დრო და სურვილი. შესაბამისად, იზრდება პოტენციური საფრთხის რისკებიც, რადგან ინტერნეტის უსაზღვრო საინფორმაციო სივრცეში უსაფრთხო ნავიგაცია გარკვეულ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს. სიფრთხილე და გონიერება გვმართებს ინტერნეტის ნებისმიერი მიზნით მოხმარებისას, იქნება ეს სანდო ინფორმაციის მოძიება, ონლაინ შოპინგი, სოციალურ ქსელებში კომუნიკაცია, ონლაინ თამაშები თუ, უბრალოდ, სხვადასხვა გვერდზე რეგისტრაცია.

პანდემიის პერიოდში ინტერნეტის მოხმარების არნახულმა ზრდამ ბევრი გამოწვევა წარმოშვა ბავშვებისთვისაც და მათი მშობლებისთვისაც. აშკარა გახდა ინტერნეტის უსაფრთხოდ, გონივრულად მოხმარების წესებისა და უნარების აუცილებლობა.

წინამდებარე გზამკვლევიც სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვების მშობლებს საბაზისო ცოდნა შესძინოს ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარების შესახებ და პოტენციური საფრთხეებისგან შვილების დასაცავად; ამასთანავე, კიდევ ერთხელ დაანახოს მათ ინტერნეტის დადებითი მხარეები და შესაძლებლობები.

გზამკვლევი სამ თემატურ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეული ნაწილი იმ გამოწვევას ეხმიანება, რომლის წინაშეც დგანან მშობლები.

ეკრანდამოკიდებულების მზარდი პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიისას, როდესაც ინტერნეტი, ფაქტობრივად, სწავლის, მუშაობის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ერთადერთ წყაროდ იქცა. გზამკვლევში

მიმოხილულია ეკრანდამოკიდებულების იდენტიფიცირების, პრევენციისა და ინტერვენციის გზები.

ციფრული უსაფრთხოება მოიცავს როგორც მოწყობილობების ფიზიკურ უსაფრთხოებას, ასევე, პირადი მონაცემების დაცვისა და უსაფრთხო ნავიგაციის წესებს. გზამკვლევი მიმოიხილავს ყველაზე გავრცელებულ საფრთხეებს და მათგან თავდაცვისა თუ მათზე რეაგირების საშუალებებს.

მედია წიგნიერება თანამედროვე ადამიანის უმნიშველოვანესი უნარ-ჩვევაა და ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია, ინტერნეტში არსებული ზღვა ინფორმაციიდან გამოარჩიოს სანდო, გადამოწმებული ინფორმაცია; არ გახდეს დეზინფორმაციისა და მავნე პროპაგანდის მსხვერპლი; დაიცვას როგორც საკუთარი თავი, ასევე, სხვები.

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტის მოხმარების შეწყვეტა უამრავი შესაძლებლობის დაკარგვას ნიშნავს. ამის საპირწონე კი მხოლოდ და მხოლოდ განათლებაა, ამ შემთხვევაში -ციფრული განათლება.

ეკრანდამოკიდებულება

ეკრანთან გატარებული დროის მართვა ბავშვებსაც და ზრდასრულებსაც გვიჭირს. როგორც წესი, მნიშვნელობა არ აქვს, რას აკეთებს ამ დროს ბავშვი - მუსიკას უსმენს, ვიდეოებს უყურებს, უფრო დიდ ასაკში სოციალური პლატფორმებით სარგებლობს თუ თამაშებით ერთობა - ეკრანთან დიდი დროის გატარება მშობლების ნერვიულობასა და შფოთვას იწვევს. ხშირად მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტიც სწორედ გაჯეტებსა და მათთან გატარებულ დროს უკავშირდება.

პირველ რიგში, უნდა დავსვათ კითხვა, რა განსხვავებაა და სად გადის ზღვარი ეკრანდამოკიდებულებასა და მის ადეკვატურ გამოყენებას შორის?

ალბათ, აღარავის აქვს ილუზია, რომ ბავშვებს ნებისმიერ ასაკში მთლიანად მოვაშორებთ ეკრანს. მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ და მოვემზადოთ იმისთვის, რომ ბავშვები გაჯეტებს გარკვეული დოზით მოიხმარენ. თუმცა, უნდა განვსაზღვროთ, რას გულისხმობს ეკრანდამოკიდებულება და როგორ შეგვიძლია მისი ნიშნების ამოცნობა.

რა არის ეკრანდამოკიდებულება?

ეკრანდამოკიდებულების ტერმინის ქვეშ ნებისმიერი ტექნიკური საშუალების იმდენად დიდი დოზით მოხმარებას ვგულისხმობთ, როცა დღის ძირითადი ნაწილი მათით ვართ მოცული და მის გარეშე სრულფასოვნად ფუნქციონირებას ვერ ვახერხებთ.

ეკრანდამოკიდებულება როგორც ემოციურ, ისე ქცევით სფეროებში ვლინდება და ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტზე ზემოქმედებს. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანი დამოკიდებულია ეკრანზე, თუკი გამოხატულია:

1. ადიქცია, ან ლტოლვა - ძალიან ძლიერი სურვილი - როცა პირი ვერ ახერხებს ყურადღების გადართვას, სხვა აქტივობებით სიამოვნების მიღებას და შფოთავს ეკრანის გარეშე; მას არ შეუძლია ცდუნებასთან და მოთხოვნილებასთან გამკლავება ან მისი გადავადება.

2. ტოლერანტობა - როცა ეკრანთან გატარებული დრო საკმარისი აღარაა და ადამიანი ამ დროის თანდათან გაზრდას იწყებს, რამაც შესაძლოა, გაჯეტებით სრულ ოკუპაციამდე და მოცულობამდე მიგვიყვანოს.

როგორ გამოიყურება ეკრანდამოკიდებულება?

- ***სხვა აქტივობების მიმართ ინტერესის დაკარგვა*** - მშობლები თავადაც აღნიშნავენ, რომ ბავშვი ნაკლებად კონტაქტურია ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან; კარგავს გარეთ გასვლის, კითხვის, შეიძლება, მეცადინეობისაც და სხვა ტიპის ფიზიკური თუ აქტივობითი თამაშის სურვილს.
- ***ეკრანთან გატარებული დროის კონტროლის შეუძლებლობა*** - როცა ბავშვი/მოზარდი ვერ აკონტროლებს დროს, რომელსაც ეკრანთან ატარებს. ზოგადად, ყველას შეგვიმჩნევია, რომ ეკრანთან დრო ბევრად სწრაფად გადის. ბავშვისთვის კიდევ უფრო რთულია ამის გაცნობიერება და კონტროლი, რასაც მოსდევს თავის მართლება ეკრანთან გატარებული დროის გამო. როცა ბავშვი ამბობს, რომ გაჯეტებთან ცოტა ხნით ზის, ის ამას არა მხოლოდ სხვებს ეუბნება, არამედ საკუთარ თავსაც. ეს კი დრამატულია, რადგან ის თავადაც ხვდება, რომ დიდ დროს ატარებს ეკრანთან, მაგრამ მისი შემცირება არ შეუძლია.
- ***მოცულობა*** - როცა ადამიანი მთლიანად არის მოცული და ოკუპირებული ეკრანით და თუ გარკვეული დროის მანძილზე, რაიმე მიზეზით ვერ ახერხებს ეკრანის გამოყენებას, იწყებს შფოთვას, გაღიზიანებული, დეზორიენტირებული და დეზორგანიზებული ხდება.

როგორ მივხვდეთ, რომ ბავშვი ეკრანდამოკიდებულია?

- ***ჰამდენად აქტიუჰადაა ჩაჰთუღი ბავშვი სხვადასხვა აქტივობაში?*** - ხომ არ ხდება ისე, რომ სხვა ტიპის ნებისმიერი აქტივობა (იქნება ეს რეალურ სიტუაციაში თამაში, ურთიერთობები სხვებთან, თუ, ზოგადად, ინტერესები) მცირდება, ვიწროვდება და ბავშვი სიამოვნებას მხოლოდ გაჯეტებით იღებს, მისი ინტერესები მხოლოდ ეკრანს უკავშირდება?
- ***კომუნიკაციისა და სოციაღუჰი ინტეჰაქციის სუჰვიღის ნაკღებობა*** - ხომ არ ხდება ისე, რომ ბავშვი/მოზარდი უარს ამბობს თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან ცოცხალ სოციალურ ინტერაქციაზე და სახლში, ოთახში

მარტო ყოფნას ამჯობინებს? ეს აქამდე ასე არ ხდებოდა და ვერც მისი ხასიათის თავისებურებითა და ტემპერამენტით აიხსნება?

- ***ემოციური სიხშირეები*** - ბავშვს ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა, ხშირად გაღიზიანებულია, ბრაზობს, უჭირს ემოციების მართვა, მათი სახელდებაც კი და თავადაც ვერ ხსნის ხასიათის ცვალებადობას; უმეტესად, თითქოს ძალაგამოცლილი და დაღლილია, დისტრესი კი განსაკუთრებითეკრანის შემცირების ფონზე ვლინდება.
- ***ძილისა და კვების ჩვევები*** - ბავშვს აქვს ძილის რუტინის მოშლის ნიშნები, უჭირს ჩაძინება, ღამით განსაკუთრებულად აგზნებული და გაღიზიანებულია, დიდი დრო სჭირდება ჩასაძინებლად, ღამით ეღვიძება და ძილის შებრუნება უჭირს; შესაძლოა, ასევე, უარს ამბობდეს ან გადაჭარბებულად იღებდეს საკვებს ეკრანის გამოყენებისას.
- ***ქცევის სიხშირეები*** - ეს, უმეტესად, იმპულსის კონტროლის სირთულეებსა და სენსორულ გადატვირთვას უკავშირდება. ეკრანი ინფორმაციის ძალიან დიდი წყაროა, ეს ინფორმაცია/ სტიმულაცია კი ბავშვისთვის რთული გასაფილტრია. თუ მსგავსი ტიპის სტიმულაცია განსაკუთრებით ჭარბი რაოდენობით მიეწოდება ბავშვს, მას უჭირს მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და საკუთარი თავის დამშვიდება, რასაც ემოციური რეგულაციის, ქცევის მართვისა თუ, ზოგადად, თვითკონტროლის სირთულეებთან მივყავართ.

თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, მარტივად გადაამოწმოს, რამდენად პრობლემურია ბავშვის მიერ ეკრანის გამოყენება და რამდენად სწორად ნაწილდება დრო. ამისთვის შეეცადეთ, ძალიან გულწრფელად და ობიექტურად უპასუხოთ რამდენიმე კითხვას, ინტენსივობა და სიხშირეც გაითვალისწინოთ:

1. რამდენად უჭირს ბავშვს, შეწყვიტოს ეკრანის გამოყენება?
2. არის თუ არა გაჯეტი ბავშვის მოტივირების ერთადერთი, ან ყველაზე ეფექტური საშუალება?
3. ბავშვი თითქოს მთლიანადაა მოცული ვირტუალური სამყაროთი და სულ ამაზე ფიქრობს?
4. რამდენად ერთვება ბავშვი ეკრანს მიღმა აქტივობებში - ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან ურთიერთობაში? ტექნიკასთან დროის მარტო გატარება ხომ არ ურჩევნია?

5. რამდენად განიცდის ბავშვი ეკრანის გარეშე ყოფნას, რამდენად ფრუსტრირებულია მის გარეშე?
6. რამდენად ხანგრძლივია და დღითი დღე ხომ არ იზრდება ეკრანთან გატარებული დრო?
7. ხომ არ იწყებს ბავშვი იმის დამალვას, რამდენ დროს უთმობს გაჯეტებს?
8. როცა ბავშვი გაღიზიანებულია, გაჯეტების გარდა, თვითდამშვიდების რაიმე სხვა სტრატეგია აქვს?

შესაბამისად, ეკრანი - ნებისმიერი ტექნიკური მოწყობილობა, ინტერნეტი - ჩვენი ყოფიერების განუყოფელი და შეუცვლელი ნაწილია, რომლის სწორად გამოყენებითაც შეგვიძლია, ნებისმიერ ასაკში ბევრი სარგებელი მივიღოთ. თუმცა, ეკრანდამოკიდებულება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის ადიქცია, ყველასთვის საზიანოა და პიროვნების როგორც ცალკეული სფეროების, ისე მთლიანად ფუნქციონირების ხარისხზე აისახება.

რა შესაძლებლობებს გვაძლევს ინტერნეტი?

როგორ სწავლობს ბავშვი? უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი თამაშით სწავლობს. თუმცა, ადრეული ასაკიდანვე, განსაკუთრებით კი სასკოლო პერიოდში, ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ბავშვს დავსვამთ მაგიდასთან და მოსმენით, წაკითხვით, ან წერით ნებისმიერ რამეს ავათვისებინებთ. სწავლების ასეთი მეთოდი დღეისთვის მოძველებული და ერთფეროვანია, რაც არ აკმაყოფილებს თანამედროვე ბავშვის საჭიროებებს და არც გამოწვევებთან გამკლავებაში ეხმარება. სწავლების მეთოდოლოგია მრავალფეროვანი და დღევანდელ გამოწვევებთან მორგებული უნდა იყოს.

ხომ შეუძლებელია, რომ ბავშვმა ცურვა ან ველოსიპედის ტარება მხოლოდ სხვისი ყურებით, მოსმენით, ან წიგნში წაკითხვით ისწავლოს? ჩვენ საკუთარი გამოცდილებით, კეთებით, მოსინჯვით ვსწავლობთ. ცხადია, არსებობს დაცემის, რამის ტკენისა და დაზიანების საფრთხე, რომელიც ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვუკრძალავთ ბავშვებს ქუჩაში გასვლას და არ ვარიდებთ მათ პოტენციურად საფრთხის შემცველ ადგილებს? არამედ ვცდილობთ, მეტ-ნაკლებად გავაკონტროლოთ

გარემო და ბავშვს თავდაცვა და სირთულეებთან გამკლავება ვასწავლოთ. ასევე უნდა მივუდგეთ ტექნიკისა და ეკრანის გამოყენების საკითხსაც.

ნებისმიერი საგანი, გაკვეთილი თუ ასათვისებელი ცნება, შეიძლება, თამაშად ვაქციოთ. რატომ არის თამაშით სწავლა უფრო ეფექტიანი? თამაში ყოველთვის შინაგანი მოტივაციით იმართება და შესაბამისად, რამდენჯერაც არ უნდა დამარცხდე თამაშში, არ გამოგივიდეს ან შეგეშალოს, მოტივაცია უფრო გემატება და უფრო მეტად ცდილობ წინსვლასა და შემდეგ ეტაპზე გადასვლას.

მაგრამ რა ხდება მეცადინეობის დროს? წარუმატებლობის, დამარცხების, ჩაჭრის ფონზე ბავშვი კარგავს მოტივაციას, მეტად ეცადოს და უკეთ გამოუვიდეს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მეცადინეობა უფრო მეტად გარეგანი მამოტივირებლებით წარიმართება.

ეკრანთან გაზარებული დროის მართვა - როგორ მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი?

მრავალი კვლევის მიხედვით, მოზარდები ეკრანთან ყოფნისას სამ ძირითად პლატფორმას იყენებენ: თამაშები, სოციალური ქსელები და ინფორმაციის მოძიება სასწავლო/ საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

ცხადია, ეკრანთან გატარებული დრო სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად უნდა იმართოს. აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს კონტენტი, რომელსაც ბავშვი ინტერნეტში ნახულობს და მასაც ვასწავლოთ უსაფრთხოების წესები. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეუძლია, მშობელს გაუზიაროს ნებისმიერი რამ, რასაც ნახულობს, ან რა პრობლემაც ექმნება. ეკრანის დახმარებითა და სწორად გამოყენებით შეგვიძლია, ნებისმიერი რამ დავასწავლოთ ბავშვს, თანაც ბევრად ნაკლები ძალისხმევითა და იმ განცდით, რომ თამაშობს.

სოციალური ქსელები

ცხადია, სოციალური ქსელების გამოყენებისას ასაკის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია და პასუხისმგებლობაა მშობლის, თუმცა, მოზარდებისთვის

მსგავსი პლატფორმები მეგობრების შეძენის, თანამოაზრეებთან დაკავშირების, კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობაა. როგორც ვთქვით, ამჟამინდელი რეალობა განსხვავებულია და მოზარდების უმეტესობისთვის ონლაინ - დისტანციურად ერთმანეთთან ურთიერთობა ისევე ბუნებრივი და ჩვეულია, როგორც პირადი, ცოცხალი კომუნიკაცია.

კომპიუტერული/ინტერნეტ თამაშები

რაც შეეხება თამაშებს, რომელიც, უმეტესწილად, აგრესიასთან, ჯანმრთელობის, ნერვული სისტემის დაზიანებასთან, დროის ტყუილად კარგვასთან და სისასტიკესთან ასოცირდება: სწორად შერჩეული თამაშით, შეგვიძლია, ბავშვს ნებისმიერი რამ დავასწავლოთ.

გვახსოვდეს, რომ თამაში ბავშვისთვის, შესაძლოა, იყოს:

- ***ადგილი, სადაც უსაფრთხოდ გრძნობს თავს და „ჰეადობაზე"*** კონტროლის განცდა აქვს. ვირტუალური რეალობა, შეიძლება, ერთგვარი ხიდი გახდეს წარმოსახვით და რეალურ სამყაროებს შორის, რაც მას თუნდაც ყოველდღიურ სირთულეებთან გამკლავებაში ეხმარება.
- ***ინტერაქცია და კომუნიკაცია*** - მსგავსი თამაშები ხშირად გუნდურია, რომელშიც ერთი და იგივე ინტერესების მქონე მოზარდები ერთმანეთს უკავშირდებიან და ეკონტაქტებიან, რაც მათი სოციალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და შესაძლოა, ერთადერთი შესაძლებლობაც კი იყოს.
- ***ეკრანის საშუალებით და თამაშით შეგვიძლია, ბავშვს გამოვუმუშაოთ ნებისმიერი უნარი*** - სოციალური და კომუნიკაციური უნარები, წარმოსახვა, შემოქმედებითობა, აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნება; ასევე, აღმასრულებელი ფუნქციებიც - ყურადღება, მეხსიერება, ჯერის დაცვა, დაგეგმვა, მიზნის დასახვა და მის მისაღწევად სტრატეგიების შემუშავება. შეგვიძლია, ბავშვს დავასწავლოთ პროსოციალური ქცევაც კი, განსაკუთრებით ისეთი თამაშებით, რომელშიც ბავშვები ჯგუფურად ცდილობენ პრობლემასთან გამკლავებას, ისახავენ საერთო მიზანს, ინაწილებენ როლებს და აცნობიერებენ, რომ ერთმანეთის გარეშე მიზანი ვერ მიიღწევა.

ინფორმაციის მოძიება

ინტერნეტსივრცე, თუ ბავშვს მის სწორად გამოყენებას ვასწავლით, ინფორმაციის მოძიების ულევი და უმასშტაბო წყაროა, სადაც მას რამდენიმე წუთში შეუძლია, მოიძიოს ნებისმიერი მასალა, ნებისმიერი წყარო გადაამოწმოს, გაიფართოვოს თვალსაწიერი და უამრავი ინფორმაცია მიიღოს მისთვის საინტერესო, ან საჭირო საკითხის ირგვლივ; ასევე, გამოიმუშაოს ტექნიკური უნარები, რომელთა გარეშეც დღევანდელობაში ორიენტაცია ძნელია.

ჩვენ ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ და ბავშვისთვის ადრეული ასაკიდან ეკრანი და ნებისმიერი ტექნიკა ბუნებრივი გარემოა. როგორც არ უნდა მოგვწონდეს ან მოგვწონდეს ეს მოცემულობა, მას ვერსად გავექცევით. ყოველდღიურად ძალიან ბევრს ვსაუბრობთ იმ რისკებსა და მავნებლობაზე, რომელიც, შესაძლოა, ონლაინ პლატფორმებმა მოუტანოს ბავშვს, თუმცა, ასე ცალსახა მსჯელობა მართებული ვერაფრით იქნება. თუ სწორად წარვმართავთ, ინტერნეტის გამოყენება სწავლის შესაძლებლობებს ზრდის და ტექნიკური უნარების გამომუშავების საშუალებას აძლევს ახალგაზრდა თაობას, რაც დღევანდელობისთვის მნიშვნელოვანი და გარდაუვალიც კია.

როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვი დიდი ხნით მოიხმარს ეკრანს ან ეკრანდამოკიდებულია?

სხვადასხვა ასაკში ეკრანის დიდი დოზით მოხმარებას სხვადასხვა ეფექტი აქვს. შესაბამისად, ის, თუ როგორ იმართება ბავშვის დრო ეკრანთან, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. პირველი, რაც მშობლებს აზრად მოსდით, უკრძალავენ, როცა ბავშვი დიდ დროს უთმობს ეკრანს. თუმცა, ***აკრძალვა შედეგიანი არც ერთ შემთხვევაში არაა. დაუშვებელია, ბავშვს ჩამოვართვათ ის, რაც მას ართობს და სიამოვნებას ანიჭებს, თუკი არ შევთავაზებთ აღტენატივას, ან წინასწარ არ შევუთანხმებთ მას ამას.*** ეკრანდამოკიდებულების პრევენციაზე მუშაობა ძალიან ადრეული ასაკიდან იწყება. ეკრანის დიდი დოზით გამოყენება, განსაკუთრებით 2 წლამდე ასაკში, როცა ბავშვის განვითარება დამოკიდებულია გარშემომყოფებთან ცოცხალ ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე, განსაკუთრებით დრამატულია. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ წინასასკოლო ასაკში, დაახლოებით 5-6 წლამ-

დე პერიოდში, ეკრანის დიდი დოზით მოხმარება ისეთ სირთულეებს იწვევს, როგორიცაა:

- მოტორული განვითარების დაყოვნება
- წონის მატება
- მხედველობის სირთულეები
- კოგნიტური განვითარება
- ემოციური და კომუნიკაციური სირთულეები
- ენობრივი განვითარების დაყოვნება
- ქცევის სირთულეები

ეკრანდამოკიდებულების პრევენცია

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკრანდამოკიდებულების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ:

- საერთოდ დაუშვებელია, 2 წლამდე ასაკში ბავშვი ეკრანთან დროს დამოუკიდებლად ატარებდეს (მშობლის გარეშე, რომელიც უხმოვანებს, რასაც ბავშვი ხედავს);
- 2-5 წლის ასაკში ეკრანთან გატარებული დროის ლიმიტი დაახლოებით უნდა იყოს 1 საათი დღის მანძილზე;
- წინასასკოლო და ადრეულ სასკოლო ასაკში, 7-8 წლამდე, ეკრანთან გატარებული დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს;
- წინასასკოლო ასაკში მნიშვნელოვანია, ეკრანი არ მიეწოდებოდეს ბავშვს დაძინებამდე დაახლოებით 1-2 საათით;
- აუცილებელია, ადრეულ ასაკშივე უზრუნველვყოთ სივრცეები, სადაც ეკრანს ოჯახის არც ერთი წევრი არ იყენებს. ყველაზე მარტივია, ასეთი სივრცე იყოს ბავშვის საძინებელი, სამზარეულო, სადაც ყველა ერთად იკრიბება, ან პერიოდები, რომელსაც ბავშვთან ერთად ვატარებთ - ვუკითხავთ წიგნს, ან ვთამაშობთ მისთვის საინტერესო თამაშს.

აღსანიშნავია, რომ მოზარდობის ასაკშიც იგივე გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე ვდგავართ. თუმცა, აქ პრობლემა სხვა პერსპექტივით გვაქვს, როცა მოზარდი კარგავს ინტერესებს, მეგობრებთან დროის გატარებას სახლში დარჩენა ურჩევნია და შესაძლოა, სირთულეები აკადემიურ მოსწრებაზე,

სწავლასა და მიღწევების მოტივაციაზეც აისახოს. შესაბამისად, ეკრანზე დამოკიდებულების მართვა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერ ასაკში.

ინტერვენცია - როგორ ვიქცევით, თუ ბავშვი უკვე დამოკიდებულია ეკრანზე?

თუ პრევენცია დაგვიანებულია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები იმას აკეთებენ, რასაც ხედავენ, მხოლოდ ახსნა და სიტყვიერი უკუკავშირი საკმარისი არაა. უპირველესად, უნდა დავიწყოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, რა დროს ვუთმობთ ეკრანს, როგორ ვატარებთ დროს გარშემომყოფებთან, არის თუ არა ადგილი სახლის გარემოში, სადაც ეკრანს არ ვიყენებთ და დროს მხოლოდ ოჯახის წევრებს, ან რამე სხვა აქტივობებს ვუთმობთ. საკუთარ თავზე დაკვირვება იმ სურათს მოგვცემს, რისი შეცვლითაც უნდა დავიწყოთ.

იმისათვის, ჰომ გაჯეტებთან ბავშვის მიჯაჭვულობა შევამციროთ, პირველ ჰიგში, უნდა დავაკვირდეთ საკუთარ ქცევას - ჩვენ ჰოგორ მოვიხმართ ეკრანს. მშობლის ქცევა მოდელია ბავშვისთვის. არა მშობლის საუბარი, არამედ ქცევა - ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

მნიშვნელოვანია, ბავშვთან/მოზარდთან წინასწარ შეთანხმება იმაზე, როგორ შევამცირებთ ეკრანთან გადატებულ დროს. დაუშვებელია ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, განხილვისა და წინასწარ დაგეგმვის გარეშე. მსგავსი აკრძალვა უკმაყოფილებისა და კონფლიქტის ალბათობას ზრდის, რაც დამოკიდებულებასთან გამკლავების პროცესში ხელს შეგიშლით.

აუცილებელია, დავაწესოთ დროითი საზღვრები - წინასწარ განვსაზღვროთ დღის რომელ მონაკვეთში, რამდენი ხნით ვაძლევთ ბავშვს/მოზარდს ეკრანის გამოყენების შესაძლებლობას. ეს დრო უნდა გახდეს ხელშეუხებელი, ამ დროს ბავშვს შეუძლია, ეკრანთან დროის გატარება ისე, რომ შენიშვნას არ იღებდეს და არ იყოს კრიტიკისა და უკმაყოფილების ობიექტი. აქ მნიშვნელოვანია, მას ამ დროის კონტროლში დავეხმაროთ. როგორც ადრეული ასაკის ბავშვები, ისე მოზარდები, შეეცდებიან დათქმული დროის გაზრდას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, მშობელი თანმიმდევრული იყოს და თავიდაპირველი შეთანხმება არ დაირღვეს.

დროის საზღვრების გარდა, უნდა არსებობდეს სივრცეებიც, სადაც ოჯახის წევრები გაჯეტებს არ იყენებენ. ეს შეიძლება, იყოს დღის ნებისმიერ მონაკვეთში, საუზმის, ან სადილის დროს, საღამოს ოჯახური შეკრების დროს - ამას თავად ოჯახი განსაზღვრავს. აუცილებელია, სახლის გარემოში არსებობდეს ადგილი და პერიოდი, როცა არავინ იყენებს ეკრანს და დროს უთმობს ერთმანეთს.

აუცილებელია, ბავშვს/მოზარდს შევუქნათ გარემო, სადაც მას ინტერესების გამრავალფეროვნების, სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა ექნება. მოზარდებისთვის განსაკუთრებით აუცილებელია, მსგავსი აქტივობები ფიზიკურ აქტივობას მოიცავდეს - როგორიცაა მისთვის საინტერესო ნებისმიერი სპორტი, ფეხით სეირნობა ან სირბილი, ვარჯიში და ჯანსაღი ცხოვრების წესის მოდელირება. ბევრად ეფექტურია, თუ ამას მოზარდი მშობელთან ერთად გააკეთებს.

უმნიშვნელოვანესია, ბავშვს გავუღვივოთ განცდა, რომ მას თავის კონტროლი შეუძლია; შეუძლია, თავად აკონტროლოს ეკრანთან გატარებული დრო, დაააწესოს ლიმიტები, შექმნას გარემო, სხვა ინტერესებით. ***მშობლის მთავარი მიზანი და ფუნქცია კი ყველა ეტაპზე უნდა იყოს შვილის დახმარება, რომ მან თავად მართოს საკუთარი ქცევა, ხოლო ჩრთა განმავლობაში მისი წახალისება თვითრეგულირებადი გახდეს.***

თუ ყოველდღიურობაში დავაკვირდებით საკუთარ თავს, აღმოვაჩენთ, რომ ბოლო პერიოდში ჩვენც, ზრდასრულები, ძალიან დიდი დოზით მოვიხმართ სხვადასხვა ტიპის ტექნიკას, ფაქტობრივად, ულიმიტოდ და არ არსებობს სივრცე, სადაც დროს მხოლოდ ოჯახის წევრებს დავუთმობთ. არადა, როგორც უკვე ითქვა, ბავშვისთვის მოდელი მშობელი და მისი ქცევაა. არ შეიძლება, ვაკეთებდეთ ერთს და ბავშვისგან მოვითხოვდეთ მეორეს. თუ გვინდა, ბავშვის ქცევა შეიცვალოს, პირველ რიგში, უნდა შეიცვალოს გარემო და ჩვენი, ანუ ზრდასრულების ქცევა.

ციფრული უსაფრთხოება

ტექნოლოგიები ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში, იქნება ეს დაკავშირებული განათლებასთან, საქმიანობასა თუ პირად ურთიერთობებთან. მოწყობილობები და სოციალური ქსელი განსაკუთრებით ჭარბად სასკოლო თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ცხოვრებაშია. ინტერნეტში ანონიმურობის დაცვა და ფართო მასებზე წვდომა მარტივია, ამიტომ ხშირად ვხვდებით მანიპულაციებს, თაღლითობასა თუ კიბერბულინგს. ბავშვები, ცხოვრებისეული გამოცდილების არქონის გამო, საფრთხეს ნაკლებად აღიქვამენ და ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ეს ცოდნა, პირველ რიგში, გვქონდეს მშობლებს და ამით შევძლოთ ბავშვებისა და მოზარდების დაცვა ონლაინ სამყაროდან მომავალი საფრთხისგან.

ფიზიკური საფრთხეების შესახებ ჩვენ ხშირად ვაფრთხილებთ ბავშვებს, როგორიცაა - შუქნიშანზე შეჩერება, უცხო ადამიანებთან არასასურველი საუბარი, მშენებარე შენობებთან მორიდება. ასეთივე წესებისგან შედგება ციფრული უსაფრთხოებაც, რომლის ცოდნაც ბევრი უსიამოვნებისგან იხსნის ბავშვსა თუ მოზარდს.

მოწყობილობების უსაფრთხოება

ერთსა და იმავე მოწყობილობას სამსახურში თუ ოჯახში ხშირად რამდენიმე ადამიანი იყენებს. იმისათვის, რომ თქვენი ფოტო თუ სხვა ტიპის მასალა და ანგარიშები თუნდაც სოციალურ ქსელში იყოს დაცული, კომპიუტერზე დააყენეთ პირადი ანგარიში, რომელსაც პაროლით დაიცავთ. სხვა მომხმარებლებისთვის, მაგალითად, თანამშრომლებისთვის თუ ბავშვებისთვის ზოგადი ანგარიში დააყენეთ. ეს არამხოლოდ სხვების მიერ თქვენი პირადი მასალების/ინფორმაციის ნახვას აგარიდებთ, არამედ მათ უნებლიე ან მიზანმიმართული წაშლასაც. პაროლის დაყენება ნებისმიერი მოწყობილობის პარამეტრებიდან შეიძლება, იქნება ეს დესკტოპი, მობილური თუ პლანშეტი (სურ. 1).

მნიშვნელოვანია, რომ თქვენი მოწყობილობები მუდმივად ყურადღების არეალში გქონდეთ. ნუ დატოვებთ მათ ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას - აუდიტორიაში, ბიბლიოთეკაში, წვეულებასა თუ საჯარო თავშეყრის სხვა ადგილებში. შესაძლოა, მოწყობილობა ადგილზე დაგხვდეთ, მაგრამ გამოყენებული ან გავრცელებული იყოს თქვენი პირადი თუ სამსახურებრივი ინფორმაცია.



სურ. 1

იმ შემთხვევაში, თუ სხვისი მოწყობილობების გამოყენება გიწევთ და არ გინდათ, თქვენი აქტივობები დაფიქსირდეს ან ჩართული დაგრჩეთ ანგარიშები, გამოიყენეთ ინტერნეტ ბრაუზერის ანონიმურად მოხმარების ფუნქცია: Chrome-ში მას Incognito Mode, ხოლო Firefox-სა და Safari-ში - Private ჰქვია. (სურ. 2 და სურ. 3)

პაროლები და ოჯაგი დაცვა

მოწყობილობა იქნება, ანგარიშები სოციალურ ქსელში, მეილი, ინტერნეტ ბანკინგი, ონლაინ ნივთის შეძენა, სასწავლო დაწესებულების ანგარიში თუ სხვა, პაროლი ყველგან გვჭირდება. დაცული ანგარიში უზრუნველყოფს, რომ ჩვენი ინფორმაცია, პირადი თუ საქმესთან დაკავშირებული, უცხო ხელში არ მოხვდეს, რასაც, როგორც წესი, დიდი უსიამოვნებები მოჰყვება ხოლმე. სუსტი პაროლების გატეხვა არც ისე რთულია.


New tab
New incognito tab
History
Downloads
Bookmarks
Recent tabs
Settings
Help & feedback
Search or type
Local, Nati...
Continue brov
Google Lens
Discover
Check back later for new stories

სურ. 2


New Incognito Tab
Search Google or type a URL
Incognito
You've gone Incognito
Now you can browse privately, and other people who use this device won't see your activity. However, downloads, bookmarks and reading list items will be saved. Learn more
Chrome won't save the following information:
Your browsing history
Cookies and site data
Information entered in forms
Your activity might still be visible to:
Websites you visit
Your employer or school
Your internet service provider
Block third-party cookies
When on, sites can't use cookies that track you across the web. Features on some sites may break.

სურ. 3

ჰოგოჩი პაჩოღებია სუსტი? - მხოლოდ ციფრებისგან შემდგარი; საკუთარი, შვილების, ოჯახის წევრების, საყვარელი ცხოველების სახელები, დაბადების თარიღები, მეტსახელები და სხვა, მარტივად გამოსაცნობი კომბინაციები. მაგალითად: Ninikо1996

იმისათვის, რომ პაროლი ძლიერი, ანგარიში კი დაცული იყოს:

- პაროლი ბევრი სიმბოლოსგან უნდა შედგებოდეს;
- როგორც მაღალი, ისე დაბალი ასოების, ციფრებისა და სიმბოლოებისგან;
- სხვადასხვა ანგარიშებზე დააყენეთ განსხვავებული პაროლები;
- განსაკუთრებით მოერიდეთ საქმიანი, მაგალითად, იმეილისა და პირადი ანგარიშების პაროლების მსგავსებას;
- პაროლები თითოეულ ანგარიშზე 3-6 თვის განმავლობაში ცვალეთ.

რაც უნდა ძლიერი იყოს პაროლი, მისი გატეხვის ალბათობა ყოველთვის არსებობს. კიდევ უფრო დაცული ანგარიშებისთვის შეგიძლიათ, ორმაგი დაცვის ფუნქცია გამოიყენოთ, რომელიც ყველა სოციალურ ქსელს, იმეილსა თუ ონლაინ ბანკინგს აქვს. ორმაგი დაცვა გულისხმობს, რომ მეილისა და პაროლის გარდა, სისტემაში შესასვლელად გჭირდებათ დამატებითი, ერთჯერადი, რამდენიმე ციფრისგან შემდგარი კოდი, რომელიც თქვენი მობილურის ნომერზე ან იმეილზე მოგივათ - იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს დაამატებთ ორმაგი დაცვის საშუალებებში. (სურ. 4)



სურ. 4

ამას გარდა, სოციალურ ქსელებსა და მეილზე შეგიძლიათ, ჩართოთ შეტყობინების მოსვლა იმ შემთხვევაში, თუ ახალი, უცხო მოწყობილობიდან შესვლა დაფიქსირდა.

უკვე დაფიქსირებული მოწყობილობების შემოწმება პარამეტრებიდან შეგიძლიათ. ამ განყოფილებაში ნახავთ, თუ რომელი მობილურით, კომპიუტერით, რა ადგილიდან და რამდენი ხნის წინ იყვნენ შემოსული თქვენს ანგარიშზე. (სურ. 5) აქვე შეგიძლიათ, დააფიქსიროთ, თუ ეს მოწყობილობა თქვენ არ გეკუთვნით, ან სხვაგან დაგრჩათ ჩართული და გამოსვლა გსურთ. თუ უცხო მოწყობილობიდან შემოსვლა დააფიქსირეთ, უფრო ძლიერი პაროლი და ორმაგი დაცვა დააყენეთ.



სურ. 5

პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემები არის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია ადამიანის იდენტიფიცირება. პერსონალური მონაცემებია:

- სახელი და გვარი
- პირადი ნომერი
- ფოტო და ვიდეოგამოსახულება
- თითის ანაბეჭდი
- მისამართი
- ადგილმდებარეობა
- ტელეფონის ნომერი
- IP მისამართი

ჩვენს პერსონალურ მონაცემებს იყენებს სახელმწიფო, კომპანიები თუ ორგანიზაციები. ***ჩაც უფრო მეტი ინფორმაციაა ჩვენ შესახებ ხელმისაწვდომი, მით უფრო დიდი ჩისკია, რომ პოლიტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის მანიპულაციის სამიზნე გავხდეთ,*** როგორიცაა: ჩვენი საშუალებით სხვისი მონაცემების მოპარვა, როგორც სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვირუსებით ხდება ხოლმე. საეჭვო ბმულებისა თუ მასალების გადამოწმება www.virustotal.com -ზე შეგიძლიათ.

ჩვენ ხშირად ვიყენებთ ერთი შეხედვით უწყინარ, უფასო აპლიკაციებს. მაგალითად, Facebook-ზე გავრცელებულ გასართობ და სათამაშო აპს - „რამდენად გიცნობენ შენი მეგობრები". ასეთ აპლიკაციებს ისეთ მნიშვნელოვან პირად ინფორმაციას ვაწვდით, რომელიც შესაძლოა, ანგარიშის გასატეხად გამოიყენონ, მაგ.: ჩვენი პირველი შინაური ცხოველის სახელი, ბებია-ბაბუების სახელები, დაბადების ადგილი და ა.შ.

ისეთ აპლიკაციებს, რომელიც ერთგვარ პროგნოზებს აკეთებს ან სახალისო ინფორმაციის შედგენა ევალება - მაგალითად, „რას მოგიტანს 2023 წელი", სწორედ პირადი ინფორმაციის მიღება ევალება. მის გამოყენებამდე შეგიძლიათ, წაიკითხოთ, რაზე აძლევთ წვდომას აპის შემქმნელს და მარტივად მიხვდებით, რომ ეს თამაში სინამდვილეში პერსონალური ინფორმაციის შესაკრებად შეიქმნა, რომელიც სრულიად შესაძლებელია, მომავალში პოლიტიკური მიზნებისთვის ან თაღლითობისთვის გამოიყენონ. მაგალითად, თუ აპლიკაციას აძლევთ წვდომას თქვენი ტელეფონის ნომერზე, ეს ნომერი

ხვდება ბაზაში, რომლის საშუალებითაც გირეკავენ და პასუხისას თანხა საქველმოქმედო ზარების პრინციპით გეჭრებათ. პირადი ინფორმაციის საშუალებით შეიძლება, გაყალბდეს პიროვნების იდენტობაც და ის თქვენთვის არასასურველი აქტივობისას გამოიყენონ, მაგალითად, ონლაინ რაიმეს შესაძენად.

უსაფრთხო აპლიკაციებისთვის:

- ჩამოტვირთეთ ის მხოლოდ ავტორიზებული პლატფორმებიდან: Play Store ან App Store
- წაიკითხეთ ავტორის შესახებ - ვინ და რა მიზნით გვთავაზობს აპლიკაციას
- წაიკითხეთ შეფასებები, თუ რამდენად არგუმენტირებულად აფასებენ მას მომხმარებლები

უსაფრთხო სოციალური ქსელები და მიმოწერა

ინტერნეტის მეტნაკლებად ყველასთვის ხელმისაწვდომობამ, იქნება ეს სახლი, სამსახური თუ სასწავლებელი, კომუნიკაციის ფორმის ცვლილებაც მოიტანა. ბევრი ჩვენგანი დღის განმავლობაში ციფრულად უფრო მეტ ადამიანს და მეტი ხნით ეკონტაქტება, ვიდრე პირისპირ.

საკომუნიკაციო საშუალებად, ძირითადად, სოციალურ ქსელებს, მესიჯ აპლიკაციებსა და მეილს ვიყენებთ. როგორც პირად მიმოწერაში, ისე საჯაროდ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ინფორმაციებს ვცვლით, თუმცა, მათმა გასაჯაროებამ ან შესაბამისად დამუშავებამ, შესაძლოა, დიდი უსიამოვნებები მოგვიტანოს, როგორიცაა: პირად შეტყობინებებში გაგზავნილი ფოტო/ტექსტის გასაჯაროება ან მისით შანტაჟი ფულის გამოძალვისა თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით.

სოციალური ქსელების უსაფრთხოდ გამოყენებისთვის გირჩევთ:

- თავი შეიკავოთ ადგილმდებარეობის გაზიარებისგან, მაგალითად: „ყოველ პარასკევს, 4-დან 5 საათამდე ამ კაფეში ვარ", „ჩემი შვილი 27-ე ბაღში დამყავს";
- არასრულწლოვნების ფოტოების გამოქვეყნებისგან, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიაზე გადაღებულის, სადაც ისინი დიდ დროს ატარებენ - სკოლაში, ბაღში თუ წრეზე;

- არ დატოვოთ ფუნქციები საჯაროდ ჩართული, როგორიცაა: ფოტოებზე ნებართვის გარეშე მონიშვნა, თქვენს კედელზე ინფორმაციის ან ფოტოს გამოქვეყნება სხვების მიერ;
- ნებისმიერი ინფორმაციისა თუ ვიზუალური მასალის გაზიარების წინ ჰკითხეთ საკუთარ თავს - ნამდვილად გსურთ, რომ ეს მასალა საჯარო, მსოფლიოში ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს? თუ მხოლოდ ვიწრო წრისთვის ჩვენება სჯობს?
- გაზიარებამდე ყოველთვის გადაამოწმეთ ინფორმაციის სიზუსტე და ვინ იყო მისი პირველწყარო;
- არ გამოაქვეყნოთ სხვისი ფოტოები და ამბები მათი ნებართვის გარეშე. მოითხოვეთ, ანალოგიურად მოგექცნენ თქვენც;
- არ დატოვოთ ჩართული თქვენი ანგარიშები სამსახურის/ბიბლიოთეკის მოწყობილობებში;
- არ დაამატოთ მეგობრებში ის ადამიანები, რომელთაც არ იცნობთ, რამდენი საერთო მეგობარიც უნდა გყავდეთ;
- დააყენეთ რთული პაროლები და ორმაგი დაცვა;
- აირჩიეთ და პარამეტრებიდან დაამატეთ სანდო ადამიანების ანგარიშები, რომელთა დახმარებითაც, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი ანგარიშის აღდგენას ან დაბრუნებას შეძლებთ.

უსაფრთხო მიმოწერის მთავარი პრინციპია - არ გააგზავნოთ ისეთი შეტყობინება, რომლის საჯაროდ გამოქვეყნებაც დიდ ზიანს მოგაყენებთ. შესაძლოა, თქვენ დაცვის ყველა მექანიზმი გეყენოთ, მაგრამ დანამდვილებით ვერასდროს გეცოდინებათ, ადრესატიც ისეთივე სიფრთხილით ეკიდება თავის ანგარიშებს, თუ არა. შესაძლოა, მისი მოწყობილობა ოჯახის წევრს, მეგობარს ან უცხო ადამიანსაც კი ჩაუვარდეს ხელში. მნიშვნელოვანია, პროფესიული ინფორმაციის დაშიფვრა - მაგალითად, ჟურნალისტმა მიმოწერაში არ უნდა ახსენოს ანონიმური წყარო ან უფლებადამცველმა არ გაამხილოს მსხვერპლის ადგილმდებარეობა და ა.შ.

ონლაინ თაღლითობა - ფიშინგი

ონლაინ თაღლითობა მაშინ გაჩნდა, რაც ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა მოქალაქეებისთვის. ფიშინგი ინტერნეტ-თაღლითობის ფორმაა, რომელიც

ელ-ფოსტაზე მოსული წერილით, სხვადასხვა სოციალურ ქსელში რომელიმე კორპორაციის, კომპანიის ან ბანკის სახელით თუ ლოგოთი ხორციელდება. ფიშინგის შედეგად თაღლითი, ქურდობის მიზნით, მოტყუებით მოიპოვებს კონკრეტული პიროვნების დაცულ ინფორმაციას. ფიშინგის ყველაზე გავრცელებული ფორმებისგან თავი რომ დაიცვათ და ის ნამდვილი ინფორმაციისგან კარგად გაარჩიოთ, რამდენიმე მაგალითს განვიხილავთ.

ფიშინგი Google-ის სახელით

თაღლითები ხშირად იყენებენ ცნობილი და ავტორიტეტული კომპანიების სახელს. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღებს შეტყობინებას იმის შესახებ, თითქოს Google-მა უამრავ მომხმარებელს შორის ის შეარჩია და საჩუქრად ძვირადღირებულ ტექნიკას გადასცემს. საჩუქრის რამდენიმე დოლარად მისაღებად კი მხოლოდ ბმულზე გადასვლა და საბანკო მონაცემების მითითებაა საჭირო. მაგრამ თანხის ჩამოჭრის შემდეგ საჩუქარიც და გამჩუქებელიც ქრება. (სურ. 6)



სურ. 6

როგორ დავიცვათ თავი მსგავსი თაღლითობისგან?

- დააკვირდით ვებგვერდის მისამართს, საიდანაც ინფორმაცია გეგზავნებათ. ფიშინგისას ოფიციალურ მისამართს არ იყენებენ;
- დააკვირდით ტექსტს. როგორც წესი, ტექსტი არეულია და ბევრი გრამატიკული შეცდომაა დაშვებული;
- უფრთხილდით ბმულებს, სადაც გადასვლას და რაიმე ინფორმაციის შევსებას გთხოვენ;
- დააკვირდით თქვენს ემოციებს. ფიშერებმა კარგად იციან, როგორ გამოიწვიონ მძაფრი ემოციები თქვენში, რაც არარაციონალურ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანთ. ამიტომაც, განსაკუთრებით ფრთხილად იმ შეტყობინებებთან იყავით, რომელიც თქვენში მკვეთრ სიხარულს, აღფრთოვანებას ან ბრაზს იწვევს და გამოგზავნილ ინსტრუქციას არ მიჰყვეთ.

ფიშინგი ბანკის სახელით

ფიშერები ძალიან ხშირად იყენებენ ბანკებისა თუ ფინანსური ორგანიზაციების სახელსა და ლოგოს, რეკლამას უშვებენ სოციალურ ქსელში. შეთავაზებაზე გადასვლისას კი იხსნება ვებგვერდი, რომელიც ბანკის იდენტურია. მასზე მონაცემების შეყვანით თაღლითები დღის განმავლობაში არაერთი ადამიანის საბანკო ანგარიშს მოიპოვებენ. მსგავსი თაღლითობისგან თავდასაცავად, ასევე, უნდა დააკვირდეთ გვერდის სახელს, გრამატიკულ შეცდომებს ტექსტში და ბმულს, რომელზეც რეკლამას გადაჰყავხართ. თუ აღმოაჩენთ, რომ ქურდობის მსხვერპლი ხართ, ანგარიშების დასაბლოკად ბანკს, დანაშაულის გამოსაძიებლად კი პოლიციას მიმართეთ. (სურ. 7)

კიბერბულინგი

კიბერბულინგი, ონლაინბულინგი - ეს არის შევიწროება ან ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც ტექნოლოგიების საშუალებით გარკვეული სიხშირით ხორციელდება პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ. ბავშვები და მოზარდები უფრო და უფრო მცირე ასაკში ხდებიან სოციალური ქსელებისა თუ ონლაინ თამაშების მომხმარებლები და წლიდან წლამდეც მხოლოდ იმატებს კიბერბულინგის

სურ. 7

შემთხვევები. მასშტაბურობიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, კიბერბულინგი ბევრად უფრო საზიანო იყოს მსხვერპლისთვის, ვიდრე ტრადიციული ბულინგი.

უმეტეს შემთხვევაში, მშობლებს წარმოდგენაც არ აქვთ იმის შესახებ, რომ მათი ბავშვი კიბერბულინგის მსხვერპლია ან თავად ჩაგრავს ვინმეს. ამ საფრთხისგან დაცვა იმას არ ნიშნავს, რომ მშობელმა ონლაინ პლატფორმების გამოყენება აუკრძალოს შვილს. ეს შესაძლოა, ბავშვის/ მოზარდის ფიზიკურ სამყაროში იზოლირების საფუძველიც კი გახდეს. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა შვილებს ონლაინ უსაფრთხოდ ყოფნის წესები გააცნონ და მათთან შეთანხმებით გადაამოწმონ არასრულწლოვნის ანგარიშები.

როგორ გამოვიცნოთ კიბერბულინგი?

მოზარდი, შესაძლოა, კიბერბულინგის მსხვერპლია, თუ მის ქმედებებში მოულოდნელი, უჩვეულო ცვლილებებია:

- მოულოდნელად წყვეტს ტელეფონის, კომპიუტერის, სოციალური მედიის გამოყენებას, ან ამ პროცესში ნერვიულდება;
- მესიჯის, ჩეთის, სოციალური მედიის გამოყენების ან თამაშის შემდეგ ავლენს გაბრაზებას, იმედგაცრუებას, დეპრესიას, თავის თავში ჩაკეტვას;
- აღარ უნდა სკოლაში წასვლა ან გარეთ გასვლა;
- არ სურს საუბარი, განსაკუთრებით მის ონლაინ აქტივობებზე.

მოზარდი, შეიძლება, თავად ახორციელებს კიბერბულინგს, თუ:

- უეცრად კეცავს ეკრანს ან მალავს მობილურ ტელეფონს/ტაბლეტს;
- მთელი ღამე იყენებს მოწყობილობას;
- ძალიან ღიზიანდება, თუ კომპიუტერს/ტელეფონს/ტაბლეტს რაიმე მიზეზით ვერ იყენებს;
- არ საუბრობს იმაზე, თუ რას აკეთებს ონლაინ;
- შექმნილი აქვს და იყენებს რამდენიმე ანგარიშს, ან სხვის სახელზე აქვს გახსნილი ანგარიში.

თუ აღმოაჩინეთ, რომ თქვენი შვილი ონლაინ ჩაგრავს სხვებს, მნიშვნელოვანია, დროული და სწორი რეაქცია გქონდეთ:

- ეცადეთ, დაადგინოთ რეალური მიზეზი, თუ რა უჩენს მას სხვების მიმართ აგრესიას. არის თუ არა ისეთი რამ, რაც მას აწუხებს და რისი მოგვარებაც შეიძლება თქვენი ჩართულობით?
- მკაფიოდ აუხსენით, რომ ჩაგვრა არასდროსაა ცალმხრივი პროცესი და ამისგან ზიანს თავადაც მიიღებს. მნიშვნელოვანია, ესმოდეს, რატომ არის ბულინგი მიუღებელი ქცევა;
- დარწმუნდით, რომ მას ესმის საკუთარი პასუხისმგებლობა და მსგავსი ქცევის გაგრძელების შემთხვევაში, თქვენგან მინიჭებულ პრივილეგიებს დაკარგავს - შეეზღუდება თავისუფალი მოქმედებები;
- წაახალისეთ თანაგრძნობა და სიკეთე მასში. როლური თამაშით საშუალება მიეცით, თავი სხვის ადგილას წარმოიდგინოს და გაგიზიაროთ, როგორ იმოქმედებდა მსგავსი ქცევა მასზე;

- ამ პროცესში იყავით მომთმენი და გულისხმიერი ისე, რომ მოზარდს არ გაუჩნდეს მომავალი ქმედებების თქვენგან დამალვისა და იზოლირების სურვილი;
- თუ ხვდებით, რომ პრობლემას დამოუკიდებლად ვერ აგვარებთ, დაიხმარეთ სპეციალისტი, რომელიც მას ჩაგვრის გამომწვევი მიზეზების მიგნებასა და მოგვარებაში დაეხმარება.

რა ვასწავლოთ ბავშვებსა და მოზარდებს კიბერბულინგისგან თავდასაცავად?

1. სიფრთხილით მოეკიდონ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებას (ოჯახის წევრების სახელები, სკოლა, რომელშიც სწავლობს, ტელეფონის ნომერი, მისამართი, იმწუთიერი ადგილსამყოფელი და სხვა);
2. ტელეფონის, ტაბლეტის, აპლიკაციის, სოციალური მედიის კონფიდენციალურობის პარამეტრები (Privacy Settings) დააყენეთ ისე, რომ აკონტროლოთ, ვის შეუძლია მათთან დაკონტაქტება, პირად ანგარიშზე პოსტის ან კომენტარის დატოვება თუ გაზიარება. ყურადღება მიაქციეთ, ვის აქვს ანგარიშზე დადებულ ფოტოებზე, ვიდეოებსა თუ სხვა კონტენტზე წვდომა;
3. ყურადღებით მოეკიდნონ, ვის უმეგობრდებიან ონლაინ. დაიმეგობრონ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც პირადად იცნობენ და ენდობიან;
4. სანამ რამეს დაპოსტავენ ან დააკომენტარებენ, ახსოვდეთ, რომ ონლაინ სივრცეში არაფერი იკარგება. ერთხელ დაპოსტილი ან დატოვებული კომენტარი სამუდამოდ რჩება და ის შეიძლება, მათთვის არასასურველმა პიროვნებამ ნახოს;
5. კიბერადევნების თავიდან ასაცილებლად, თავი შეიკავეთ თქვენი ადგილსამყოფელის გაზიარებისგან. მოგზაურობასთან, კონცერტებთან და ა.შ. დაკავშირებული პოსტები და სურათები მოგვიანებით გააზიარეთ, უმჯობესია სახლში დაბრუნების შემდეგ. გამორთეთ ლოკაციის ფუნქცია (GPS Location Service) და ვიდეოკამერა, როდესაც მას არ იყენებთ.

თამაშები და PARENT CONTROL

ბავშვები და მოზარდები ინტერნეტთან დაკავშირებულ მოწყობილობებთან დღის განმავლობაში მინიმუმ რამდენიმე საათს ატარებენ. ონლაინ

ურთიერთობებში ისინი მაშინაც კი არიან ჩაბმული, როდესაც სოციალურ ქსელში არ არიან ან არ აქვთ წვდომა მესიჯ აპლიკაციებზე. ეს, ძირითადად, თამაშების საშუალებით ხდება. იმისათვის, რომ თამაშების უსაფრთხოებაში დარწმუნდეთ, გირჩევთ, ბავშვთან ერთად ერთხელ მაინც ითამაშოთ მათი საყვარელი თამაში და დააკვირდეთ:

- არის თუ არა კონტენტი ძალადობრივი;
- თამაშების გასახსნელად ბავშვი ხომ არ იყენებს ისეთ არაავტორიზებულ ვებგვერდს, სადაც პორნოგრაფიული გამოსახულება ჩნდება;
- თამაშის შინაარსი ძალადობრივი და გამაღიზიანებელია თუ არა;
- თამაშის მონაწილეებს თუ შეუძლიათ ერთმანეთთან კონტაქტი.

ასეთი თამაშებიდან კომუნიკაცია სოციალურ ქსელებში ან ფიზიკურ სივრცეშიც გადადის, რასაც ხშირად მიმართავენ „ბავშვებზე მონადირეები". მნიშვნელოვანია, ბავშვს ავუხსნათ, რომ თამაშში მონაწილე სხვა პირი, შესაძლოა, თავის იდენტობას აყალბებდეს და სულაც არ იყოს 9 წლის ნიკა, როგორც ეს ონლაინ იკითხება. მათ უნდა ისწავლონ, რომ ***ნებისმიერი სახის ონლაინ უხთიეხთობა უნდა დახჩეს და შეწყდეს იმ პლატფორმაზე, ხომელზეც დაიწყო.***

ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილ თამაშებს ფასიანი ფუნქციებიც აქვს, რომლის დაუფიქრებლად შეძენასაც ბავშვები მშობლების ანგარიშებით/ბარათებით ახერხებენ. ამისგან თავდასაცავად მნიშვნელოვანია, რომ ბარათის მონაცემები ონლაინ არ შეინახოთ და ყოველი გადახდისას ინდივიდუალურად შეიყვანოთ იგი. ბავშვს თქვენს ფიზიკურ ბარათთანაც არ უნდა ჰქონდეს წვდომა და უნდა გააფრთხილოთ მსგავსი შემთხვევების შესახებ.

არაავტორიზებულ პლატფორმებზე, საიდანაც ბავშვები თამაშებს იწერენ, ხშირია სპამ შეტყობინებები, მაგალითად: „თქვენ გამოიყენეთ აკრძალული ვებგვერდი და აღნიშნულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოთ 20 ლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოძახებული იქნება პოლიცია". ბავშვები ამ შეტყობინებებით შინდებიან და ხშირად იყენებენ მშობლების საბანკო ანგარიშებს. აუცილებელია, გააფრთხილოთ ისინი ასეთი საფრთხეების შესახებ და ურჩიეთ, რომ, პირველ რიგში, თქვენ ან ახლოს მყოფ ზრდასრულს მიმართონ.

მავნე ზეგავლენის ვებგვერდებისა და სექსუალური შინაარსის მასალებისგან ბავშვების დაცვის არაერთი გზა არსებობს, მათ შორის: (სურ. 8, 9)

- Silk Child - მისი საშუალებით შეგიძლიათ, ბავშვის მდებარეობის, მის მიერ გამოყენებული ვებგვერდების, აპლიკაციებისა და მოწყობილობასთან გატარებული დროის კონტროლი.
- Youtube Kids - უზრუნველყოფს ბავშვების მიერ მათი ასაკის შესაბამისი შინაარსის ვიდეობის ნახვას და მშობლის ან მეურვის მხრიდან მის კონტროლს.

* მათ, ვისაც ციფრულ და კიბერ უსაფრთხოებაში უფრო სიღრმისეული ცოდნის მარტივად მიღება გსურთ, ქართულ ენაზე გირჩევთ 2 პლატფორმას: ვებგვერდი www.millab.ge და კიბერგუშაგი Facebook-ზე



სურ. 8, 9

მედიაწიგნიერება

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის პოპულარიზაციამ, ინფორმაციის მიმოცვლის ტემპი საგრძნობლად შეცვალა.

ფეისბუქის, ინსტაგრამის, ტვიტერისა და სხვა სოციალური ქსელების როლის გამო, დღეს ინფორმაციას არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ თითოეული ჩვენგანი ავრცელებს. ინფორმაციის ამ მზარდ ნაკადში კი საგრძნობლად იმატა ყალბმა ინფორმაციამ და დეზინფორმაციამ.

დეზინფორმაციის მიზანია, მოქალაქეები და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. დეზინფორმაცია, ხშირად, საგანგაშო ფორმებსაც იღებს და შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლესაც კი შეუქმნას საფრთხე. ამის მაგალითია დეზინფორმაცია ჯანდაცვისა და ჯანმრთელობის საკითხების შესახებ. მაგალითად, ონლაინ მედიასა და ფეისბუქზე ხშირად გვხვდება სტატიები სხვადასხვა დაავადების მკურნალობის მეთოდების შესახებ, თუმცა, ამ ინფორმაციის გადამოწმების შემთხვევაში აღმოვაჩენთ, რომ წყარო (ის, ვინც ინფორმაციას ავრცელებს) საეჭვოა და მედიცინასთან კავშირი არ აქვს.

ინფოხმაციის გადამოწმება და კიტიკული გაანალიზება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჰათა ახ მოვტყუვდეთ და დავიცვათ საკუთახი თავი, ოჯახის წევრები და საზოგადოება.

ინფორმაციის გადამოწმების პროცესი მედია და ინფორმაციული წიგნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. „წიგნიერება“ სიტყვა-სიტყვით წერა-კითხვის ცოდნას ნიშნავს. მედია და ინფორმაციული წიგნიერება კი არის უნარი, გვესმოდეს, თუ როგორ მუშაობს მედია და შევძლოთ მედიის მოხმარება (ეს გულისხმობს როგორც ინფორმაციის მიღებასა და გააზრებას, ასევე, გავრცელებას) ***უსაფთხოდ, გონივჩუდად და პასუხისმგებლობით.***

მედია და ინფორმაციული წიგნიერება მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას: ა) ჰქონდეს მედიაზე წვდომა; ბ) კრიტიკულად გააანალიზოს მედიის შინაარსი; გ) შექმნას მედიაპროდუქტი; დ) იმოქმედოს მედიასთან ერთად.

1. პროპაგანდა და დეზინფორმაცია

ხშირად დეზინფორმაციის სინონიმად ვიყენებთ ტერმინს „პროპაგანდა," თუმცა, ეს ორი ცნება ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ ტერმინის წარმომავლობა პაპ გრეგორი მე-15-ს უკავშირდება, რომელმაც 1622 წელს რწმენის პროპაგანდის წმინდა კონგრეგაცია დააარსა. ეს იყო მისიონერული ორგანიზაცია და კათოლიციზმის პროპაგანდირებას ისახავდა მიზნად. ***ამჟამად, პროპაგანდა ახის კომუნიკაციის ფორმა, რომლის მიზანიც დარწმუნება ან საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული გავლენის მოხდენაა.*** პროპაგანდა, შესაძლოა, მცდარ ინფორმაციასა და ემოციებით მანიპულირებას ეფუძნებოდეს. ასეთი პროპაგანდის მაგალითებია ნაცისტური გერმანიის პროპაგანდა ებრაელების წინააღმდეგ, ან საბჭოთა კავშირის ანტიამერიკული პროპაგანდა და კგბ-ს დეზინფორმაციის განყოფილების მიერ გამოგონილი ე.წ. „ოპერაცია ინფექცია". ეს იყო აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაცია, თითქოს შიდსის ვირუსი აშშ-მა ლაბორატორიებში ხელოვნურად შექმნა.

მართალია, დღეს პროპაგანდას, მეტწილად, უარყოფით პოლიტიკურ კონტექსტში იყენებენ, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ პროპაგანდას ყოველთვის ნეგატიური დატვირთვა არ აქვს. როგორც ვთქვით, პროპაგანდა დარწმუნების მიზნით ინფორმაციის გავრცელებაა. შესაბამისად, პროპაგანდად შეგვიძლია, ჩავთვალოთ დადებითი მოწოდებები და კამპანიები, როგორიცაა: ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია, საზოგადოების ინფორმირება არჩევნებში მონაწილეობის წასახალისებლად, სოციალური კამპანიები ბუნებისა და ეკოლოგიის დაცვის შესახებ და სხვ.

მნიშვნელოვანი ტერმინები

დეზინფორმაცია - ყალბი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება **განზრახ.** დეზინფორმაციას ახასიათებს კამპანიურობა და ორგანიზებულობა. ის ვერ გავრცელდება „შემთხვევით". დეზინფორმაციის მიზანია **ზიანის მიყენება** და **ზეგავლენის მოხდენა** საზოგადოებრივ აზრზე.

მისინფორმაცია - ყალბი ინფორმაცია, რომელიც უნებურად, წინასწარი განზრახვის გარეშე ვრცელდება. მისინფორმაცია ისეთი ყალბი ინფორმაციაა, როდესაც გამავრცელებელმა **არ იცის,** რომ ყალბ ინფორმაციას ავრცელებს.

პროპაგანდა - კომუნიკაციის ფორმა დარწმუნების მიზნით. შესაძლოა, ისმცდარ ინფორმაციასა და მანიპულირებას ეფუძნებოდეს და უარყოფითი შედეგი ჰქონდეს. პროპაგანდა, ასევე, შეიძლება, ეფუძნებოდეს ფაქტობრივ ინფორმაციას დადადებითი ცვლილებებისკენ მოუწოდებდეს მოქალაქეებს.

ყალბი ინფორმაციის ამოცნობა და გადამოწმება

ყალბი ინფორმაციის ამოსაცნობად და გადასამოწმებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ ინფორმაციის ელემენტებს. ეს ელემენტებია: გამავრცელებელი ანუ წყარო, სათაური, ძირითადი ტექსტი (შესაძლოა, იყოს ვიდეო სიუჟეტი ან პოსტი სოციალურ მედიაში), დამხმარე ვიზუალური მასალა, ფოტო ან ვიდეო.

ყურადღება მიაქციეთ წყაროს

1. დააკვირდით საიტის ბმულს. დეზინფორმაციული საიტები ხშირად ცნობილი სანდო მედიების სახელებს ბაძავენ, რათაშეცდომაში შეგვიყვანონ. მაგალითად, bbc.com-ის ნაცვლად, შესაძლოა, იმყოფებოდეთ bbc.com.ge-ზე. ეს უკანასკნელი კი არ არის ბრიტანული საზოგადოებრივი მაუწყებლის (BBC) ნამდვილი მისამართი.

ქვემოთ მოცემულ პირველ ფოტოზე თქვენ ხედავთ ქართულ ონლაინ გამოცემას On.ge. დააკვირდით საიტის მისამართს „news.on.ge". მეორე ფოტოზე კი მოცემულია საეჭვო საიტი News One, რომლის მისამართიცაა „newsone.ge" და კოვიდ-19-ის სექციაში გადაუმოწმებელ და არასანდო ინფორმაციას ავრცელებს. ორივე საიტის ბმულს თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ newsone.ge სანდო news.on.ge-სგან მხოლოდ მცირედით განსხვავდება. შესაბამისად, თუ საიტების მისამართებს კარგად არ დავაკვირდებით, შეცდომაში შესვლის ალბათობა საკმაოდ დიდია.


news.on.ge
NEWS.On.ge
ახალი ამბები
შურნალი
NEXT
EDU
ოჯ-ედი
ქვიზები
საკითხავი
რჩეული
რეკლამა
2 წლის შვილზე ძალადობის ბრალდებით მამა დააკავეს
აქტუალური


newsone.ge/category/covid-19/
COVID-19
ბოლო სტატიები
ახალი ამბები
ეკონომიკა
პოლიტიკა
რელიგია
საზოგადოება
სპორტი

2. დააკვირდით საიტის ვიზუალს. შეისწავლეთ, რამდენად პროფესიონალურად და სოლიდურად გამოიყურება ის. ***თუ საიტზე გხვდებათ გასათიში ჰეკდამები, განსაკუთრებით კი არაეთიკური ჰეკდამები ჯანდაცვისა და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდის შესახებ, დაიმახსოვრეთ, რომ ეს საიტი სანდო წყარო არ არის.*** ასეთი საიტები ყალბ ინფორმაციას ფინანსური სარგებლის მიზნით ავრცელებენ. ასეთ რეკლამებზე თითოეული დაკლიკვა მათთვის შემოსავლის წყაროა. შესაბამისად, რაც მეტი ადამიანი წაიკითხავს მათ საიტზე ყალბ/საეჭვო ინფორმაციას, მით მეტ შემოსავალს მიიღებს საიტის მფლობელი.

ქვემოთ მოცემულ ფოტოზე არასანდო საიტის მაგალითს ხედავთ. ერთი მხრივ, საიტი ცნობილ ამერიკულ გამოცემას ABC news-ს ბაძავს, მეორე მხრივ, კი საიტის ვიზუალი გადატვირთულია რეკლამებით, მათ შორის ინგლისურ ენაზე.



3. ყურადღება მიაქციეთ, გეცნობათ თუ არა საიტის/მედიის სახელი. თუ წყაროს შესახებ არაფერი გსმენიათ, ეცადეთ,დამატებითი ინფორმაცია მოიძიოთ მასზე. მაგალითად, შეამოწმეთ საკონტაქტო ინფორმაცია და „ჩვენ შესახებ" განყოფილება; თვალი გადაავლეთ საიტზე გამოქვეყნებულ სხვა ინფორმაციასაც, რათა წარმოდგენა შეგექმნათ, თუ რა ტიპის საიტზე იმყოფებით. გადაამოწმეთ ამ მედიის სახელი გუგლში - შესაძლოა, ის ყალბი ინფორმაციის გავრცელებით იყოს ცნობილი. მის შესახებ ინფორმაცია ფაქტების გადამოწმების პორტალებზე მოიძიეთ. ასეთი პორტალებია „მითების დეტექტორი" და „ფაქტჩეკ ჯორჯია".

4. წყაროს იმ შემთხვევაშიც უნდა დააკვირდეთ, თუ ინფორმაცია ფეისბუქ გვერდზე ან ჯგუფებში ვრცელდება. ასეთ დროს ყურადღება მიაქციეთ, თუ ვინ ავრცელებს ინფორმაციას. დააკვირდით გვერდის/ჯგუფის სახელს; შეამოწმეთ, რამდენად წარმოადგენს გვერდი/ჯგუფი რომელიმე სანდო მედიის ან ორგანიზაციის ანგარიშს; ასევე, დააკვირდით, რამდენადაა კავშირში გვერდის/ჯგუფის სახელი ან წარმომავლობა მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან. მაგალითად, თუ სპორტული თემატიკის ფეისბუქ გვერდი გვეუბნება, რომ პაპილომა ვირუსის ვაქცინა დაავადებებს იწვევს, ცხადია, ამ ინფორმაციაში ეჭვი უნდა შევიტანოთ და ის სანდო სამედიცინო პორტალებზე ან ექიმთან გადავამოწმოთ.

ყურადღება სათაურებსა და ლექსიკას მიაქციეთ

1. დააკვირდით სათაურებს. გაწვდით სათაური საჭირო ინფორმაციას, თუ გიბიძგებთ, რომ ბმულზე გადახვიდეთ? საეჭვოა სათაურები, რომელთა შინაარსიც წყდება ან ისეთ სიტყვებს იყენებს, როგორიცაა: „გადადი ბმულზე და გაიგე", „ეს ინფორმაცია გაგაოცებთ", „სასწრაფოდ!", „შოკისმომგვრელი ინფორმაცია, რომელიც ამ წუთებში ვრცელდება" და სხვა. ასეთი ტიპის სათაურების მიზანი არა ჩვენი ინფორმირება, არამედ საიტზე ნახვების რაოდენობის გაზრდაა. ასეთი ტიპის სათაურებსა და საიტებს ე.წ. click-bait-ს ("ქლიქბაიტი") უწოდებენ. „click" ინგლისურად „დაკლიკვას", ბმულზე გადასვლას ნიშნავს, „bait" კი სატყუარაა.

   ასეთი სათაურები ისეთ საიტებს ახასიათებს, რომლებიც სხვა მედიების სახელებს იპარავენ და რეკლამებით ტვირთავენ ვებ-გვერდებს (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია წყაროების შესახებ).

ქვემოთ მოცემულ ფოტოებზე ე.წ. „ქლიქბაიტი“ სათაურის მაგალითებს ხედავთ. პირველ ფოტოზე ილუსტრირებულია, თუ როგორ ჩანს გაზიარებული ბმული, როდესაც ინფორმაციას ფეისბქუზე ხვდებით. ხშირად ასეთი სათაურები წყდება და ბოლომდე ვერ ვკითხულობთ, რაც კიდევ უფრო გვიბიძგებს ბმულზე გადასვლას.

ამ ფოტოზე კი უკვე ილუსტრირებულია, თუ როგორ გამოიყურება შიგნიდან არასანდო საიტი საკმაოდ საეჭვო ინფორმაციით.

საიტი იმდენად დატვირთულია რეკლამებით, რომ მომხმარებელმა, შესაძლოა, შემთხვევითაც დააჭიროს ამ ბმულებს. სწორედ ასეთი ვიზუალის საიტები აქვეყნებენ საეჭვო ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ და ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს.

ყურადღება მიაქციეთ, რა წყაროებს იყენებს ავტორი

სანდო ინფორმაციას აუცილებლად უნდა ახლდეს წყარო. წყაროების მითითება აუცილებელია იმიტომ, რომ ინფორმაციის გაცნობა ორიგინალ დოკუმენტებში/წყაროებშიც დამოუკიდებლად შევძლოთ.

დეზინფორმაციის ავტორები ხშირად წყაროს არსებობის ილუზიას ქმნიან. მაგალითად, შეიძლება, ინფორმაციაში ეწეროს „New York Times-ის ინფორ-

მაციით...", მაგრამ სტატია ნიუ იორკ თაიმსის მასალის ბმულს არ გვაწვდიდეს, ან ორიგინალი ინფორმაცია მანიპულაციურად და ავტორის სუბიექტური ინტერპრეტაციით იყოს წარმოდგენილი. საეჭვოა, ასევე, ისეთი ზოგადი წყაროები, როგორცაა, „ბრიტანელი მეცნიერების თქმით", „ექიმები გვირჩევენ" და ა.შ. ყოველთვის უნდა დავსვათ კითხვა, რომელი მეცნიერები? კონკრეტულად რომელი ექიმი?

დაიმახსოვრეთ, თუ სტატიაში მოცემული ინფორმაციის დამოუკიდებლად გადამოწმება შეუძლებელია, გამოტოვებულია წყარო ან ავტორი არ გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას წყაროს შესახებ, ასეთი ინფორმაცია საეჭვოა და არ უნდა გავაზიაროთ.

რომ შევაჯამოთ, ყალბი ინფორმაციის ნიშნებია:

- საეჭვო წყარო
- მწვავე, ემოციური ლექსიკა
- მითითებული არ არის პირველწყარო
- შეუძლებელია სხვა სანდო წყაროში გადამოწმება

დავიმახსოვროთ, რომ დეზინფორმაციის სამიზნე ჩვენი ემოციებია. ყურადღება მივაქციოთ ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს და დავაკვირდეთ, რა ემოციას იწვევს კონკრეტული ინფორმაცია ჩვენში? დავსვათ შეკითხვა, ავტორი ჩვენს ინფორმირებას ცდილობს, თუ დაჩწმუნებას და რაიმე მოქმედებისკენ მოგვიწოდებს? იქნებ, ჩვენზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა უნდა? ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის სიფხიზლით უნდა მოვეკიდოთ ინფორმაციას და ის სხვა სანდო წყაროებში გადავამოწმოთ.

4. როგორ გადავამოწმოთ ფოტოები და ვიდეოები?

სოციალურ ქსელში ხშირად ვხედავთ ფოტოების/ქარდების სახით გავრცელებულ ინფორმაციას. ეს ფორმა, ერთი მხრივ, ამარტივებს მთავარი სათქმელის სამიზნემდე სწრაფად მიტანას, თუმცა, მეორე მხრივ, დეზინფორმაციის გამავრცელებლები ბოროტად იყენებენ ფოტოებს და ვიზუალურ მანიპულაციებს მიმართავენ. „მედიის განვითარების ფონდი“ ვიზუალური მანიპულაციის სამ ფორმას გამოყოფს:

ა. ფოტო/ვიდეო, რომელიც ტექნიკურად გაყალბებული ან დამუშავებულია - ამის მაგალითად შეგვიძლია, პროგრამულად დამუშავებული ფოტოები ან ვიდეოები განვიხილოთ.

მაგალითად, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, კრემლი არაერთ დეზინფორმაციას ავრცელებდა უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი დეზინფორმაცია იყო ვიდეო, რომელშიც ზელენსკი უკრაინელ ჯარისკაცებს დანებებისკენ მოუწოდებდა. სინამდვილეში, ეს ვიდეო პროგრამაში იყო აწყობილი, ანუ ყალბია. დეზინფორმაცია კი უკრაინელების დემორალიზებასა და ზელენსკის, როგორც ლიდერის, დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

ასეთი გაყალბებული ფოტოების ან ვიდეოების ამოსაცნობად ყურადღება არაბუნებრივ დეტალებს უნდა მივაქციოთ. მაგალითად, თუ პერსონაჟი დიდი ხნის განმავლობაში არ ახამხამებს თვალს, არაბუნებრივია სახის ნაკვთები, კიდეები სახესა და თმას შორის და სხვ. ზელენსკის ყალბი ვიდეოს შემთხვევაში არაბუნებრივი იყო თავის პოზიცია ტანთან შედარებით და სახისა და კისრის სხვადასხვა, არაბუნებრივი შეფერილობა.



კადრი ზელენსკის წინააღმდეგ გავრცელებული ყალბი ვიდეოდან.

ბ. ფილმის, რეკლამის, გრაფიკული თამაშის ფრაგმენტი - ასეთ კადრებს ხშირად იყენებენ რეალური მოვლენის საილუსტრაციოდ აუდიტორიაში მეტი სიმძაფრისა და ემოციებზე გავლენის მოსახდენად.

მაგალითად, 2018 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ფოტოები, რომელიც, სამინისტროს თქმით, ამტკიცებდა, რომ ტერორისტულ ორგანიზაციას აშშ მფარველობდა. სინამდვილეში კი ფოტო იყო კადრი კომპიუტერული თამაშიდან.

AC-130 Gunship Simulator - Convoy engagement

588,436 views

671 165 SHARE

Byte Conveyor Studios
Published on Mar 25, 2015

SUBSCRIBE 1.1K

Development preview of our upcoming game for mobile platforms, "AC-130 Gunship Simulator: Special Ops Squadron". Voted TOP 50 2014 App of the Year at SlideDB.

წყარო: millab.ge

გ. რეალური ფოტო/ვიდეო, რომელიც მანიპულაციური აღწერით ვრცელდება - ეს მანიპულაციის ყველაზე გავრცელებული ხერხია. ასეთ დროს, შესაძლოა, გაყალბებული იყოს როგორც ფოტოს/ვიდეოს შინაარსი, ასევე, გადაღების, ადგილი, დრო, მოქმედი პირების ვინაობა და სხვ.

4.1 ფოტოების/ვიდეოების გადამოწმების მეთოდები

ფოტოებისა და ვიდეოების გადასამოწმებლად, აუცილებელია, ვიპოვოთ მათი პირველწყარო და ფოტოს/ვიდეოს რეალური შინაარსი დავადგინოთ. პირველწყარო ნიშნავს, თუ ვინ გაავრცელა პირველად კონკრეტული ფოტო/ვიდეო და რა შინაარსით. შესაძლოა, ზუსტ პირველწყაროს ვერც მივაგნოთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ფოტო საკმაოდ ძველია, თუმცა, თუ მასზე რომელიმე საერთაშორისო ან ადგილობრივი სანდო მედია წერს, ის სანდო წყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ფოტოს გადამოწმების ყველაზე მარტივი ინტერნეტ რესურსი გუგლის ფოტოების საძიებო სისტემაა. გუგლის საძიებო სისტემას ინფორმაციის მოსაძიებლად ყველა ვიყენებთ. გუგლს აქვს დამატებითი ფუნქციაც, რომ ტექსტის მაგივრად, ფოტოები მოვძებნოთ. გუგლი შემოგვთავაზებს ყველა საიტს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ფოტოა გავრცელებული. ჩვენ ამ საიტებს გავფილტრავთ, ავარჩევთ მათ შორის სანდო წყაროს და მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდნობით. ვიდეოების შემთხვევაში, ვიდეოდან ფოტოს ფორმატში უნდა ამოვჭრათ კადრი და შემდეგ იმავე ნაბიჯებს მივყვეთ, რასაც ფოტოების შემთხვევაში.

მაგალითად, ფეისბუქზე გავრცელდა ქუჩაში მრავალრიცხოვანი შეკრების ამსახველი ფოტო, რომლის აღწერის თანახმად, ბუქარესტში „კოვიდ დიქტატურა" ხუთმა მილიონმა ადამიანმა გააპროტესტა. განვიხილოთ ამ ფოტოს გადამოწმების ნაბიჯები.

ნაბიჯი 1: *ჩვენს კომპიუტერებში შევინახოთ ფოტო, რომლის გადამოწმებაც გვსურს. ვიდეოს შემთხვევაში, ვიდეოდან ამოვჭრათ რომელიმე კადრი და შევინახოთ ფოტოს ფორმატში.*



ნაბიჯი 2: *ჩვენ მიეი მოჭიიღი კაღჰი გუგღის საძიებო სისტემაში ავტვიჰთოთ.*

ა. შევდივაჰთ საიტზე images.google.com
ბ. შემდეგ ვაჭეჰთ ფოტოს ღიღაკს, შემდეგ კი ვიჰჩევთ კომპიუტეჰიდან ფაიღის ატვიჰთვის ფუნქციას
გ. ჩვენი კომპიუტეჰიდან ვიჰჩევთ კაღჰს/ფოტოს


https://images.google.com
Google
images
Google
images
Search any image with Google Lens
Drag an image here or upload a file
OR
Paste image link
Search



ნაბიჯი 3: *დავაკვირდეთ გუგლის შედეგებს, ყუჩადღებით შევხედოთ მსგავს ფოტოებს და სანდო წყარო ამოვარჩიოთ.*

ფოტოებს აუცილებლად ახლავს ინფორმაცია საიტის შესახებ. აუცილებელია, ეს საიტები გავფილტროთ და მათ შორის სანდო, ცნობილი მედიები ავარჩიოთ. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, პირველივე ფოტოს წყარო ცნობილი საერთაშორისო მედია Reuters.com-ია.



ნაბიჯი 4. *ინფორმაციას სანდო წყაროში გავეცნოთ*

გადავიდეთ როიტერის ბმულზე და გავეცნოთ, სად არის ფოტო გადაღებული და რას ასახავს ის. ენობრივი ბარიერის შემთხვევაში, შეგვიძლია, Google Translate გამოვიყენოთ. ეს თარგმანი, შესაძლოა, გრამატიკულად სრულყოფილი არ იყოს, თუმცა, ჩვენთვის საჭირო ძირითად ინფორმაციას მაინც მოგვაწვდის.

როიტერის თანახმად, ფოტო, სინამდვილეში, 2017 წელს არის გადაღებული. დემონსტრანტები კი რუმინეთის მთავრობის კორუფციას აპროტესტებდნენ და კოვიდთან ამ ფოტოს კავშირი საერთოდ არ აქვს.



REUTERS FACT CHECK OCTOBER 1, 2021 / 6:24 PM / UPDATED A YEAR AGO

Fact Check-Footage doesn't show protest against COVID-19 vaccines in Romania

By Reuters Fact Check 7 MIN READ

Update Oct. 6, 2021: Including response from Romania's National Committee for the Coordination of Activities on Vaccination against COVID-19 as paragraphs 15 and 16.

A video and a photograph of a massive 2017 protest in Bucharest against government corruption have been miscaptioned online, with users claiming they show a recent demonstration against COVID-19 vaccination.

Google Translated to: Georgian Show original Options ▼

ფაქტების შემოწმების კადრები არ აჩვენებს პროტესტს რუმინეთში COVID-19 ვაქცინების წინააღმდეგ

Reuters-ის ფაქტების შემოწმებით 7 წთ წაკითხული

განახლებულია 2021 წლის 6 ოქტომბერი: მათ შორის პასუხი რუმინეთის ეროვნული კომიტეტისგან COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ აქტივობების კოორდინაციისთვის, როგორც მე-15 და მე-16 პუნქტები.

2017 წელს ბუქარესტში სამთავრობო კორუფციის წინააღმდეგ გამართული მასიური პროტესტის ვიდეო და ფოტო ინტერნეტში არასწორად არის აღბეჭდილი, მომხმარებლები ამტკიცებენ, რომ ისინი აჩვენებენ ბოლო დემონსტრაციას COVID-19 ვაქცინაციის წინააღმდეგ.



5. ყალბი ანგარიშები ფეისბუქზე

როგორც მაგალითებიდან ვნახეთ, ყალბი ინფორმაცია სოციალურ მედიაშიც ვრცელდება. გამავრცელებელი კი, შესაძლოა, იყოს ყალბი ანგარიში, იგივე „ტროლი“. ტროლს უწოდებენ ისეთ ანგარიშს, რომელიც საკუთარ ვინაობას მალავს, მოქმედებს გამოგონილი სახელით და შესაძლოა, სხვა ადამიანის ფოტოებს იპარავდეს. ***ტროლის მიზანია, სოციალური მედიის მომხმარებლები განზრახ შეიყვანოს შეცდომაში და ონლაინ სივრცეში აზრით მანიპულირება მოახდინოს.***

„ტროლის“ სინონიმად ხშირად გვხვდება კიდევ ერთი ტერმინი „ბოტი.” ბოტიც ყალბი ანგარიშია, თუმცა ტროლისგან განსხვავებით, ბოტების მოქმედება ავტომატიზირებულია. უფრო მარტივად, ტროლის უკან ადამიანი დგას, ბოტის უკან კი - პროგრამა.

ტროლის ამოსაცნობად რამდენიმე კრიტერიუმს უნდა დავაკვირდეთ:

- ***დავაკვირდეთ ტროლის კომენტარებს:*** რა თემაზე წერს? განზრახ ხომ არ გადააქვს ყურადღება სხვა საკითხზე? ხომ არ არის აგრესიული ან პროვოკაციული? რა დღის წესრიგს ავრცელებს?
- ***დავაკვირდეთ ტროლის „თაიმლაინს” ანუ სიახლეების ველს:*** საკუთარ კედელზე პოსტავს? თუ პოსტავს რომელიმე კონკრეტული მედიის/პოლიტიკური პარტიის/ორგანიზაციის პოსტებს და მხოლოდ ბმულებს ხომ არ აზიარებს? ეს სექცია ცარიელი ხომ არ არის? ასეთ შემთხვევაში იზრდება ალბათობა, რომ პროფილი ტროლი იყოს.
- ***დავაკვირდეთ ფოტოებს:*** ფოტოები უდევს? თუ ერთი მაიდენტიფიცირებელი ფოტოც არ უდევს, ალბათობა იმატებს, რომ პროფილი საეჭვოა. თუ რეალური ადამიანის ფოტოები უდევს, მაგრამ მაინც ეჭვობთ, რომ საქმე ტროლთან გაქვთ, ფოტოები ზემოთ მოცემული ფოტოების გადამოწმების ინსტრუმენტების მეშვეობით შეამოწმეთ. პერსონალური ფოტოების შემთხვევაში, შესაძლოა, Yandex Images დაგეხმაროთ, რადგანაც პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქართული ტროლები ხშირად რუსეთის მოქალაქეების ფოტოებს იპარავენ.
- ***დავაკვირდეთ ბმულში მისამართს:*** ხშირია, როდესაც საეჭვო ანგარიშის ფეისბუქ მისამართში მოცემული სახელი არ ემთხვევა მის პროფილზე არსებულ სახელს.ეს კიდევ ერთი ნიშანია, რომ ანგარიში საეჭვოა.

განვიხილოთ ფეისბუქ პროფილი Elene Grigalashvili

მის თაიმლაინზე ვნახავთ, რომ ის ინფორმაციას სხვადასხვა გვერდიდან აზიარებს, თუმცა, ასევე, ხშირად პოსტავს საეჭვო და გადაუმოწმებელ ინფორმაციას ჯანდაცვისა და ჯანმრთელობის შესახებ.

დავათვალიეროთ მისი ფოტოები. პროფილის ფოტოზე გოგონაა გამოსახული. გადავამოწმოთ, რამდენად ავთენტურია ეს ფოტო და ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ელენე გრიგალაშვილს. ამისათვის კი ფოტო გუგლის ფოტოების საძიებო ფუნქციით გადავამოწმოთ.



როგორც შედეგებიდან ჩანს, ეს ფოტო არაერთ უცხოურ საიტზეა გამოქვეყნებული თმის ვარცხნილობის/მაკიაჟის სადემონსტრაციოდ. ეს კი ნიშნავს, რომ ფოტო არ ეკუთვნის ელენე გრიგალაშვილს და პირმა, რომელიც ამ პროფილს მართავს, ის ინტერნეტიდან მიითვისა.



ცხადია, რომ ანგარიში ყალბია, ანუ ტროლია და ამ ანგარიშის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციასაც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

კიდევ ერთი მაგალითი განვიხილოთ და შევისწავლოთ პროფილი Mikheil Kvantaliani. როგორც ქვემოთ მოცემულ ფოტოზე ჩანს, ამ ანგარიშს მხოლოდ ერთი ფოტო აქვს გამოქვეყნებული, ხოლო საკუთარ კედელზე ინფორმაციას არ აზიარებს. თუმცა, დავაკვირდეთ მისამართს - იქ მითითებულია სახელი elene shotadze. ეს ნიშნავს, რომ ანგარიში თავდაპირველად ელენე შოთაძის სახელით შეიქმნა, შემდეგ კი სახელი შეიცვალა და მიხეილ კვანტალიანი დაირქვა, ხოლო პირველი სახელი ფეისბუქ მისამართში უცვლელი დარჩა. შესაბამისად, ეს ანგარიშიც ყალბია.



როგორ მოვიქცე, როცა ტროლს აღმოვაჩენ?

თუ თქვენ საეჭვო ანგარიშს იპოვნით და დარწმუნდებით, რომ საქმე ტროლთან გაქვთ, აუცილებელია, ეს ანგარიში ფეისბუქთან ყალბი ანგარიშის კრიტერიუმით დაარეპორტოთ. შესაძლოა, ფეისბუქმა ეს ანგარიში არ წაშალოს და მოგწეროთ, რომ ანგარიში რეალურია, თუმცა, ცალკეული ანგარიშების დარეპორტება ფეისბუქს ამ პროფილთან დაკავშრებული სხვა ანგარიშების აღმოჩენაში ეხმარება. ამის შედეგად კი, დიდი ალბათობით, ფეისბუქი არა მხოლოდ თქვენ მიერ აღმოჩენილ ერთ ტროლს, არამედ ტროლების ქსელს წაშლის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სადაც ტროლს აღმოაჩენთ, იქვე დაწეროთ, რომ ეს პროფილი ყალბია. ეს პასუხისმგებლიანი მოქალაქის ქცევაა, რითაც ტროლის ქმედებებისგან ფეისბუქის სხვა მომხმარებლებსაც დაიცავთ.

დარეპორტების ფოტო ინსტრუქცია






Report
Does this go against our Community Standards?
Our standards explain what we do and don't allow on Facebook. We review and update our standards regularly, with the help of experts.
See Community Standards
Submit
Thank you, we've received your report
Fake account
Report received
Your report helps us to improve our processes and keeps Facebook safe for everyone.
Awaiting review
We use technology and review teams to remove anything that doesn't follow our standards as quickly as possible.
Decision made
We'll send you a notification to view the outcome in your Support Inbox as soon as possible.
Next


More options
What else would you like to do?
We won't let them know if you take any of these actions.
Block Mikheil's profile
You won't be able to see or contact each other.
Hide all from Mikheil
Stop seeing posts from this person.
Submitted to Facebook for Review
You have submitted a report
Done